პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 30 იანვარი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 22 (710) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## განცხადება.

ორშაბათს, 2 თებერვალს, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში (კალინინის ქუჩა, № 51) შესდგება კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პარტიული კომისიის სხდომა 1-ლ ქ. დივიზიის, კავკასიის პირველ მსრ. დივიზიის, კავკასიის ცალკე ცხენოსანთა ბრიგადის პარტკომისიების, ტფილისის გარნიზონის უჯრედების და კოლექტივების მონაწილეობით (კავბრიგადისა და 1-ლ ქ. მ. დივიზიის ჩათვლით).

**დღის წესრიგი:**

1. რკპ-ს (ბ) არა პროლეტარულ შემადგენლობის მომავალ განხილვის შესახებ. მოხსენებას გააკეთებს ამხ. სტელმახი, თანამომხსენებლები—დივიზიების პარტკომისიიდან—ამხ. ბაკოვი.

1-ლ ქართ. დივიზიიდან—ამხ. ლომიძე.

კავკასიის ცალკე ცხენოსანთა ბრიგადიდან—ამხ. გუბინი.

2. მოხსენება გასასინჯავ უჯრედების და კოლექტივების მდივნებისა გასინჯვისთვის გაკეთებულ მოსამზადებელი მუშაობის შესახებ.

3. 30 განცხადების განხილვა კანდიდატად მიღებისა და პარტიის წევრად გადაყვანის შესახებ.

4. დივიზიის პარტკომისიებისა და ცალკე ამხანაგების ოქმების გადასინჯვა.

დასაწყისი ხრულ 6 საათზე.

**კრებაზე შესვლა—პარტბილეთებით და კანდიდატების ბარათებით.**

## ტყუილი იმედები.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს ერიოს სიტყვა, სადაც ის ვრცლად ეხება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხს. ამ სიტყვაში მნიშვნელოვანია ორი გარემოება.

ერიო უდავოთ სცნობს იმ დებულებას, რომ საბჭოთა ქვეყნებთან უნდა გაიბას მტკიცე ეკონომიური კავშირი და დამყარდეს კეთილ-მეზობლური განწყობილება. მაგრამ ამავე დროს მას არ ავიწყდება ვალების გადახდის საკითხი, რომელსაც ის დაწვრილებით ეხება და გამოყავს ისეთი დასკვნა თითქოს მათი მოთხოვნილება ჩვენს მიმართ მეფის ვალების გადახდის შესახებ სამართლიანი იყოს.

როგორც სჩანს საფრანგეთის ბურჟუაზიას დღესაც აქვს იმედი მეფის ვალების ანაზღაურების შესახებ და კვლავ სცდილობს წამოგვიყენოს საამისო ანგარიში—სულ ოთხი მილიარდი მანეთი,

ძვირად აფასებს საფრანგეთის კაპიტალისტი თავის ცნობას, რაც მან ვერ მიიღო ინტერვენციისა და ბლოკადის საშუალებით, სურს მშვიდობიანი გზით გაინაღდოს. ამაზედ ჩვენ მტკიცედ და შეურყევლად უპასუხებთ, რომ ერთ კაპეიკს მეფის ვალებისას არ გადვიხდით. საბჭოთა ხელისუფლება ყოველ მხრივ მოწადინებულია კარგი დამოკიდებულება იქონიოს ყველა სახელმწიფოებთან და მათ შორის საფრანგეთთანაც.

ჩვენ სიხარულით შევეგებეთ საფრანგეთის მიერ ცნობას, როგორც ნაბიჯს ნორმალური ურთიერთობის დამყარებისაკენ.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება არას დროს არ დასთანხმდება იმ მოთხოვნილებებზე, რომელიც საფრანგეთს განზრახული აქვს მომავალ მოლაპარაკების დროს წარმოგვიდგინოს.

ნუ დაავიწყდება ბატონ ერიოს, რომ თუ ვალების გადახდაზე წავიდა საქმე, მაშინ ჩვენც გვაქვს საკმაო კონტრ-ანგარიშები, რომლებიც ცოტათი გადააჭარბებენ მათ ანგარიშებს.

საფრანგეთის ბურჟუაზია თავისი ენერგიული დახმარებით და უშუალო ჩარევით ხელს უწყობდა რუსეთის კონტრრევოლიუციას ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში და მათი წყალობით ვინ იცის მუშათა კლასის რამდენი საუკეთესო სიცოცხლე და აურაცხელი ქონება განადგურდა.

ამიტომ უმჯობესია ბატონ ერიომ თავი გაანებოს მეფის ვალებს და თუ მართლა კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარება უნდა ჩვენთან უფრო საქმიანათ მოჰკიდოს ამას ხელი. ჩვენ გვჭირია სესხი, მოგვცეს მან ეს სესხი და როდესაც ჩვენ საბოლოოდ აღვადგენთ ჩვენს მეურნეობას, ამ სესხსაც უკან დაუბრუნებთ და თან ნაწილობრივ მათ ძველ ვალსაც გავისტუმრებთ. ასეთია ჩვენი მოთხოვნა. თუ ეს არ ინებეს საფრანგეთის კაპიტალისტებმა და ისევ თავის მტაცებლური მოთხოვნილებები წამოგვიყენებ, ნურას უკაცრავად, თუ ვერაფერს ვერ მიიღებენ.

კარგად დაიმახსოვრონ მათ, რომ თუ ჩვენ გვჭირია მათი სესხი, სამაგიეროთ ისინიც დიდათ საჭიროებენ საბჭოთა კავშირის ულევ ნედლეულობას.

ბატონი ერიო ბევრს ლაპარაკობს შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ. ჩვენ აზრადაც არ გვაქვს საფრანგეთის შინაურ საქმეებში ჩარევისა, საფრანგეთში ისედაც საკმაო ძალები ყავს კომუნისტურ რევოლიუციას, რომ უჩვენოთაც მშვენივრად გააკეთებენ თავის ისტორიულ საქმეს.

თუ საფრანგეთის ბურჟუაზიას მართლადაც სურს ჩვენთან მჭიდრო ეკონომიური კავშირი, თავი გაანებოს მეფის ვალებზე ლაპარაკს და დაიჭიროს ისეთი გზა, რომელიც სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის.

ამით ისინი უფრო მოიგებენ, ვინემ თავისი გაუმაძღრობით.

## ერიო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ.



28 იანვარს, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე ერიომ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ სიტყვის დიდ ნაწილში მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

ერიომ გაკვრით მოიხსენია, თუ როგორ პირობებში მიანდო მან დე-მონზის ამ საკითხის შესწავლა და აღნიშნა, რომ აწი საბჭოთა კავშირის გამორიცხვა ევროპის ხალხთა ოჯახიდან შეუძლებელია.

**130 მილიონიან ხალხს ანგარიში უნდა გაეწიოს.**

საფრანგეთის მთავრობის მთელი პოლიტიკა—განაცხადა მან—მიმართულია მშვიდობიანობისაკენ და ეს მშვიდობიანობა ყალბი იქნებოდა, რომ ამ პოლიტიკას განზე დაეტოვებია 130 მილიონიანი ხალხი, რომელსაც ძლიერი არმია და ფლოტი,—ხალხი, რომლის პოლიტიკა აზიასა და ევროპაში ხშირად მჟღავნდება თვალსაჩინოდ.

მე უკვე ველაპარაკე კაშენს და ეხლაც ვიმეორებ, რომ საფრანგეთი არავითარ შემთხვევაში არ აწარმოებს საბჭოთა კავშირის გარშემორტყმის პოლიტიკას.

საფრანგეთის ბასრი ხმალი არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული აღმოსავლეთში. ამაში დაეჭვების ნებას მე არავის არ მივსცემ. ამასთან ერთად ვიმეორებ, რომ მე არას დროს არ დაუშვებ ვინმე საფრანგეთის შინაურ საქმეებში ჩაერიოს. საუკეთესო ხელშეკრულება ეს არის ხელშეკრულება ნათლად ჩამოყალიბებული.

დეე, ზინოვიევმა იცოდეს, რომ საფრანგეთის ხალხი—ერთად ერთი მსაჯულია თავისი საშინაო პოლიტიკისა. ჩვენ არ ჩავერევით ზინოვიევის ქვეყნის შინაურ საქმეებში, მაგრამ არც იმას დაუშვებთ, რომ სხვები ჩაერიონ ჩვენს საქმეებში".

**ვალების საკითხისა და რიკოვის სიტყვის შესახებ.**

„4 მილიონმა ფრანგმა სთხოვა თავისი ფულები არა მარტო ყოფილ მეფის მთავრობას, არამედ რუსეთის ქალაქის სამართველოებს, ბანკებს, რკინის გზებს და სამრეწველო დაწესებულებებსაც. სხვა სესხი მოხმარდა რუსეთის ცხოვრების საერთო პირობების გაუმჯობესებას, შეუმსუბუქა მდგომარეობა და მისცა მას საშუალება გამოეყენებია ეს მილიონები რუსეთის მეურნეობის განვითარების მიზნით. შემცდარია ის აზრი, რომ ყველა საშუალებანი, რომლებსაც იღებდა რუსეთი სესხის სახით, მოხმარდა ადმინისტრაციასა და რუსეთის არმიას.

## კამათი ერიოს სიტყვის გარშემო.

კამათში ერიოს სიტყვის გარშემო სოციალისტ სპინასმა სასტიკად გაილაშქა საბჭოთა კავშირში არსებულ წესწყობილებისა და კომუნიზმის პრინციპების წინააღმდეგ.

„ლენინმა—განაცხადა სპინასმა—წამოისროლა ძარცვის ლოზუნგი და გლეხობა გაექანა მამულებისაკენ.

რუსეთის მრეწველობა და მიწადმოქმედება დაცემულია. სიღატაკე იზრდება. აუცილებელია დიდი კრიზისი, ვინაიდან მთელი რუსეთი უნუგეშოდ გადაეშვა დეფიციტში. საბჭოთა ხელისუფლებამ მოადუნა მუშათა ნება დიქტატურით და დღეს იძულებულია სთხოვოს დახმარება კაპიტალისტებს."

მიუხედავად კომუნისტების ენერგიული პროტესტისა, პალატამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი სპინასის სიტყვას. მთელი ბურჟუაზიული პრესაც მხარს უჭერს სპინასს.

კაშენი „იუმანიტეს" ფურცლებზე ხაზ გასმით აღნიშნავს სპინასის ფუქსავატურ და ყალბი ცნობებით გამოსვლებს, საბჭოთა კავშირის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

**ერიო დავალებულია ძველი პატივისცემით.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ ეს მშვენიერი არმია, რომელიც ომის დაწყებისას შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში, პარიზი შეიძლება გერმანელებს აეღოთ. თუ მე გულწრფელად მსურს აღვადგინო მეგობრული განწყობილება დიდ რუსეთის ხალხთან—ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ის იყო საფრანგეთის მოკავშირე.

**არა შუამავლები—არამედ პირდაპირი კავშირი.**

საკითხების პრაქტიკულად გადაწყვეტის გზები კეთილ სინდისიერად უნდა მოვძებნოთ. ჩემ მხრივ ეს კეთილ სინდისიერება დაცულ იქნება. წინააღმდეგ მრავალი საწინააღმდეგო შეხედულებისა, მე ვარჩევ უშუალო ურთიერთობის დაჭერას საბჭოთა კავშირთან. 1924 წლის განმავლობაში ჩვენი საქონლის გაცვლა საბჭოთა კავშირთან უდრის 500 მილიონ მარკას, რომლის დიდი ნაწილი შუამავალთა ჯიბეში ჩავიდა".

ერიომ დაამთავრა თავისი სიტყვა შემდეგნაირად; „ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საფრანგეთში სწარმოებდეს პროპაგანდა საბჭოთა მთავრობის მფარველობის ქვეშ, დეე საბჭოთა მთავრობამ დაიცვას ჩვენ მიმართ კეთილსინდისიერება და ჩვენ მოხარული ვიქნებით აღვადგინოთ საბჭოთა კავშირთან ნორმალური და შეძლების დაგვარად ნდობითი ურთიერთობა."

## ერიო ბრალს სდებს გერმანიას.

დეპუტატთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ ერიო შეეხო საფრანგეთ ინგლისის ურთიერთობას და განაცხადა, რომ ეს ურთიერთობა არას დროს არ ყოფილა ისეთი მეგობრული, როგორც დღეს.

„ჩვენ არ ვფიქრობთ—განაცხადა მან—სამუდამოთ დავრჩეთ რეინის ოლქში.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუქციოთ იმ ფაქტს, რომ გერმანიამ დაარღვიოს თავისი ვალდებულებანი განიარაღების საკითხში და გადააქციოს პოლიცია ნამდვილ სამხედრო ძალად.

გერმანია სარგებლობს მოკავშირეების ნებართვით სამხედრო ქარხნებისა, არსენალების გადასვლის შესახებ მშვიდობიან მუშაობაზე და აძლიერებს იარაღის დასამზადებელ მუშაობასა, რომ შევსძლოთ საერთაშორისო შეიარაღების შეკვეცა, უპირველესად საჭიროა დაუკარგოდ გერმანიას მილიტარისტული (დაპყრობითი ხასიათის) მადა".

## ციმბირში გადასახლება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ციმბირის მიწათმართველობას განზრახული აქვს დაუშვას ციმბირში 50.000 გადასახლებული. გადასახლებულებს მიწები დაეთმობათ ომსკის, ტომსკის, ირკუტსკის და ენისეის გუბერნიებში.

# კელნის ზონის გარშემო.

## გერმანიის საპასუხო ნოტა.

მოკავშირეების საპასუხო ნოტაში, კელნის ზონის ოკუპაციის გაგრძელების შესახებ, ნათქვამია: „გერმანიის მთავრობა არ უარყოფს, რომ კელნის ზონის ევაკუაცია ვერსალის ხელშეკრულების ძალით დაკავშირებულია ზოგიერთ პირობებთან, მაგრამ ეს პირობები ასრულებულია და გერმანიის სრული განიარაღება უკვე ყველასაგან ცნობილი ფაქტია“.

# ოპოზიციონერთა სიტყვების რახარუხი.

ბერლინში მოხდა დიდი პროტესტის კრება, რომელიც მოაწყვეს სოციალ-დემოკრატებმა ლიუტერის მემარცხენე კურსის და პრუსიის მთავრობის მომავალი ცვლილების წინააღმდეგ. ილაპარაკეს სოციალისტური პარტიის გამოჩენილმა ბელადებმა. კრების მიზანი იყო ოპოზიციური სიტყვების რახა-რუხით მიემხროთ მუშები, საშუალო კლასი და დაეშინებიათ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები. კომუნისტებმა, რომლებიც მოვიდენ კრებაზე, სოციალ დემოკრატების დიდი რაოდენობის გამო, ვერ შესძლეს დარბაზში შესვლა.

ქუჩაში მოხდა შეტაკება მუშა—კომუნისტებსა და „რესპუბლიკანური ფლაგის“ მომხრეებს შორის.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ავრცელებენ ხმებს, რომ ბევრი რესპუბლიკანელი დანით იქნა დაჭრილიო. ბურჟუაზიული გაზეთები უსისინებენ კომუნისტებზე და უსაყვედურებენ პოლიციას, რომ მან დაიგვიანა შეტაკების დროსო.

# ფინანსიური ურთიერთობის შესახებ საფრანგეთთან.

## საუბარი საგარეო-სავაჭრო ბანკის გამგეობის თავმჯდომარესთან.

კრასინთან ერთად პარიზიდან ჩამოვიდა საგარეო სავაჭრო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ტარატუტა(?).

როსტას თანამშრომელთან საუბარში ტარტატუტამ განაცხადა:

„საფრანგეთის საქმიანმა წრეებმა პირველად დასვეს ჩვენს წინაშე საკითხი, რათა შექმნილ იქნას ბანკის სათანადო აპარატი საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის საქონლის ტრიალის დამტკიცებისა და განვითარების მიზნით. მე მაქვს რამოდენიმე წინადადება საფრანგეთ—რუსეთის ბანკის გახსნის შესახებ პარიზში, სადაც ამ ბანკის კაპიტალის ნახევარს გარდა, მოგვცემენ ჩვენ საშუალებას ვისარგებლოდ მნიშვნელოვანი კრედიტებით.

ყველა ეს წინადადებები მიეცემა ჩვენს მთავრობას განსახილველად.

ჩვენი ბანკის მიერ მიღებული კრედიტები საფრანგეთში წარმოადგენენ წმინდა საბანკო სესხს და გამოყენებულ იქნება მაშინვე, როგორც კი გამოჩნდება სათანადო კომერციული გარიგებანი“.

# გერმანიის „ჩეკა“-ს პროცესი.

ამ სათაურით გაზეთ პრავდაში მოთავსებულია წერილი, რომელშიაც ნათქვამია.

„გერმანიის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა ერთი წლის მზადების შემდეგ დაენახებია ქვეყნისთვის გერმანიის კომუნისტების „ბოროტმოქმედება,“ რის მიზნითაც ერთი-გამოსავალთაგანი იყო ბერლინის პოლიცის თავდასხმა ჩვენს საგაერო წარმომადგენლობაზე. ახლო დღეებში უნდა მოხდეს ეგრედ წოდებული „გერმანიის ჩეკას“ პროცესი.

არსებითად „გერმანიის ჩეკას“ პროცესი გამოიხატება იმაში, რომ მუშა-კომუნისტები იცავდენ თავის რიგებს პროვაკატორებისაგან, რომლებიც სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ხარჯზე მოქმედებდენ კომუნისტებს შორის. საბრალდებლო ოქმი ბრალს სდებს მუშებს იმაში, რომ ისინი თავისი სიცოცხლისა და ინტერესების დაცვის მიზნით ფაშისტურ ბანდებისაგან, იძულებული იყვნენ შეეძინათ იარაღი რეიხსვერის ნება დაურთველად.

ბატონი გერმანიის მონარქისტები, რომლებსაც არა ორაზროვანად უჭირავთ კურსი არსებულ ბურჟუაზიული რესპუბლიკის მოსპობისათვისაც კი, გაასამართლებენ ლეიპციგში მუშა-კომუნისტებს, რომლებიც იბრძვიან შრომის საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებისათვის.

ეს უბრალო ფაქტი საკმარისია იმისთვის, რათა წინასწარ სთქვა: რაც არ უნდა ითაღლითონ ბატონმა მსაჯულებმა, ისინი ვერ შესძლებენ შეამცირონ კომუნიზმის გავლენა მუშათა მასებზე. გერმანიის მუშები ასწონიან პროცესის მსვლელობას და იტყვიან:

„ჩვენ შეიძლება ცუდათ მოვამზადეთ ჩვენი გამარჯვება.

უნდა შევისწავლოთ მისი მომზადება ისე რათა ბრალდებულის სკამზე მოვხვდეთ არა ჩვენ, „არამედ მსაჯულები“.

# საბჭოთა არჩევნების მსვლელობა.

### არჩევნები გურიაში.

ოზურგეთის სამაზრო საარჩევნო კომისიის თავჯდომარე ხელახალი დეპეშით იტყობინება, რომ დიდი თოვლის გამო არჩევნების ნორმალურათ ჩატარება შეუძლებელია გურიაში და შუამდგომლობს არჩევნების საშემდეგოთ გადადებს.

### დიდი თოვლის გამოს.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოსული ცნობით აღმოსავლეთ გურიაში განუწყვეტლივ სთოვს. უკვე მოსთოვა 4 არშინზე მეტი სოფლები მოწყვეტილი არიან ერთი მეორეზე და მიმოსვლის აღოგენა ჯერჯერობით შეუძლებელია.

### გორის მაზრაში

სათემო საბჭოების არჩევნები განზრახულია დასრულდეს 5 თებერვლამდე. სამაზრო ყრილობა დანიშნულია 10 თებერვალს.

### თელავის მაზრაში.

სოფ. ძველი გავაზის თემში არჩევნები დასრულდა. არჩეულია 59 დეპუტატი. მათშორის 4 კომუნისტი და 7 ქალი.

### სოფელ არეში.

თელავის მაზრიდან მოსული ცნობით, სოფ. არეში არჩეულია 23 დეპუტატი. მათ შორის 1 ქალი.

# საქსოვი მრეწველობის მომავალი გეგმა.

საქსოვი მრეწველობა, როგორც მანქანების საალმშენებლო, გაძლიერებით იზრდება.

ყველა სამრეწველოებში მომუშავე 1.240.000 კაციდან სამეტალურგიო სამრეწველოებში მუშაობს 308.000 კაცი, საქსოვ სამრეწველოებში—445.000.

უკანასკნელი წლის განმავლობაში 4 ჯერ იქნა დაწეული ფასები 40-დან 70 პროც.

საქსოვ მრეწველობის წინაშე სდგას მანქანების რაოდენობის გადიდებისა და სართავი ქარხნების საფუძვლიანად შეკეთების ამოცანა.

# ამინდი საქართველოში.

## თოვლი ახალსენაკის მაზრაში.

26 იანვრიდან დაწყებული განუწყვეტლივ მოდის თოვლი.

საკვების უქონლობის გამო იღუპება შინაური საქონელი. ბაზარზე გაძვირდა ფქვილი და სასოფლო მეურმეობის სხვა ნაწარმოები.

# სამნეო დარგის საკითხები.

## წითელ არმიელის ტანისამოსი.

ამ უკანასკნელ დროს ხშირად აქვს ადგილი გაუგებრობას, რის შედეგათ წითელ არმიელები მოდიან მომარაგების უფროსთან საჩივლელად იმაზე, რომ ერთეულიდან ავადმყოფობის გამო ან მოკლე ვადიან, ან უვადო შვებულებაში დათხოვნისას, მათ ხდიან იმ ტანისამოსს, რომელიც ზედ აცვიათ. სავსებით რომ გაშუქებულ და გადაჭრილ იქნას ეს საკითხი, საჭიროა სამნეო ნაწილის გამგემ თვითონ შეისწავლოს არსებული წესები და წითელ არმიელთაც გააცნოს თავიანთი უფლებები სახაზინო ტანისამოსზე. კავკასიის წითელ-დროშოვან ლაშქრის 1924 წ. 10 იანვრის თარიღით № 21/[…] ბრძანებასთან თანდართულ „დ[…]სტურლამ“-ის §§ 21-ში, გვ. 1[…] და დამატებითი—105, ეს წ[…]სები დაწვრილებითაა ნაჩვენ[…]ბი.

### წამსვლელები საავადმყოფ[…]ში და გადაყვანილნი სხ[…] ერთეულში.

წითელ არმიელები, რომ[…]ლებიც გაწერილნი არიან ს[…]ავადმყოფოში, აგრეთვე, რომ[…]ლებიც გადაგზავნილ არი[…] ერთი ნაწილიდან მეორეში, […]ზავნებიან იმ ტანისამოსით, რ[…] მათ ტანზე აცვიათ, მხოლო[…] აუცილებლივ მეორე ვადი[…] ტანისამოსში.

### წამსვლელები უვადო შვებულებაში.

უვადო შვებულებაში წასვლის დროს წითელ არმიელები მიემგზავრებიან ვადა გასულ ტანისამოსით, მხოლოდ სრულიად ვარგისით. თუ რომ ერთეულში არაა საკმარისი რიცხვი ვადა გასულ ტანისამოსისა მაშინ, მარტო უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება გაშვებულ იქმნან იმ ტანისამოსით, რომელიც სულ მუდამ დღე აცვიათ, მაგრამ არასგზით არ უ[…] და იქმნეს დაშვებული, რო[…] გაიყოლონ ტანისამოსი პირ[…]ველ ვადისა. ესევე უნდა მო[…]ცეულ იქმნას იმ წითელ ა[…]მიელებისადმი, რომლებიც მ[…]დიან ავადმყოფობის გამო მ[…]კლე ვადიან შვებულებაში, ე[…]თეულის სიებიდან ამორი[…]ვით.

### როგორ განირჩევიან ერთი ვადიანი ნივთები მეორე ვად[…]ანიდგან.

პირველ ვადიანს ეკუთვნის ნივთები, რომლებიც არაა ყოველდღიურ ხმარებაში, ინახება საწყობში და იძლევა სახმარებლად: ალლუმებზე, განსაკუთრებულ საგუშაგოთ და სხვა.

მეორე ვადიანი—რომლებიც ყოველ დღიურ ხმარებაშია, მხოლოდ ტაბელით დაწერილი ვადა კი არ გასვლიათ.

ვადა გასულ მესამე კატეგორიას ეკუთვნის ნივთები, რომლებიც ჯერ კიდევ ხმარებაშია, ან ინახება საწყობში, მხოლოდ სატაბელო ვადა კი გაუვიდათ, როგორიცაა მაგალითად: მაზარა ორი წლის ხმარების შემდეგ, შალვარი, ხალათი და კონტრები 6 თ[…] ხმარების შემდეგ და სხვა.

ყოველ შემთხვევაში ერ[…]ულის უფროსმა და სამხკო[…] უნდა თვალყური ადევნონ, რ[…] ერთი ნაწილიდან მეორეში ყ[…]ყელნაირ გადაყვანის და შ[…]ბულებაში წასვლის დროს, […]ვის ნაწილიდან მიმავალ […]თელ არმიელმა შეინახოს თ[…]ვისი სათანადოთ შესაფერი […]ხედულობა და იყოს ჩაცმუ[…] სეზონის მიხედვით, თუნდ[…] ძველ ტანისამოსში, მაგრამ თ[…]ვის დროზე დაკერებულში […] არა დახეულში.

ს. შაკუნი.

# სამხკორთა აღმშენებლობა.

## ზოგიერთი შენიშვნები კორესპონდენციებზე.

ხშირად, საგანგებოთ გამართულ თათბირებზე, კერძო საუბარში და რედაქციაში შამოვლის დროს ვაფრთხილებთ და უხსნით სამხკორებს თუ რაზე უნდა სწერონ, როგორ და რას უნდა მიაქციონ უმთავრესი ყურადღება ნაწილის ცხოვრებაში.

მიუხედავად ამისა, ამხანაგები მაინც ვერ გადაეჩვიენ მშრალი კორესპონდენციების მოწოდებას, რომლებიც სრულიად არაფერს არ იძლევიან.

განსაკუთრებით ეს შეეხება წერილებს პარტიული და სხვა საზოგადო კრებების შესახებ.

მაგალითად რედაქციამ მიიღო ასეთი შინაარსის კორესპონდენცია:

„19 იანვარს № ლეგიონის № ასეულში შესდგა კომუჯრედის ღია კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავის შესახებ, განცხადებების განხილვა, რემედასის და საჰაერო ფლოტის კომისიის არჩევა.

ლენინის გარდაცვალების ერთი წლის თავის შესახებ პირველად მოხსენება გააკეთა №-მა, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა. მოხსენება დამაკმაყოფილებელი იყო. გამოვიდენ თანამომხსენებლებიც. შემდეგ გაირჩა განცხადებები. აირჩიეს რემედასის და საჰაერო ფლოტის კომისია. გაირჩა მიმდინარე საკითხები და შემდეგ კრება დაიხურა.“

ასეთი კორესპონდენცია, სჯობს სრულიად არ მოგვივიდეს.

აბა ჩავაკვირდეთ რას გვაძლევს, რას გვეუბნება ის ახალს? სრულიად არაფერს. კრება მომხდარა, ვიღაცას რაღაც ულაპარაკია, რაღაც კომისია აურჩევიათ, განცხადებები განუხილავთ და კრებაც დამთავრებულა.

რაც უნდა ეცადოს რედაქცია, ამ კორესპონდენციიდან ვერაფერს გაიგებს და ვერ შეასწორებს მას, ვერ გახდის შინაარსიანად, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი კორესპონდენტები არ არიან გაწვრთნილი და ბევრს ვერ მოვითხოვთ, მაგრამ არსებითის შესახებ, მაინც უნდა გვაწვდიდენ ცნობებს.

დაე, იყოს სუსტად დაწერილი, მაგრამ გაკვრით მაინც მიგვითითებდეს იმაზე, თუ როგორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი ამა თუ იმ საკითხზედ, როგორი ნაბიჯებია გადადგმული ამა თუ იმ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ისეთი მშრალი ანგარიში, როგორც ზევით მოვიყვანეთ სრულიად გამოუსადეგარია.

შემდეგ კორესპონდენტი სწერს, რომ აირჩიეს კომისიაო.

მარტო ეს არ კმარა. საჭიროა ვიცოდეთ თუ რა დაავალეს ამ კომისიას და რამ გამოიწვია მისი არჩევის აუცილებლობა.

მიმდინარე საკითხების შესახებ კრებებზე თითქმის ყველა ჩვენი კორესპოდენტები არაფერს ამბობენ.

რა საჭიროა დასწერო გაირჩა მიმდინარე საკითხები და არაფერი სთქვა იმაზე, თუ რ[…] შეეხებოდენ ისინი. სწორედ […] მიმდინარე საკითხებია ყველ[…] უფრო საინტერესო, მათში […]კარად გამოსჩანს ამა თუ […] ნაწილის ან პარტიული უჯ[…]დის მომზადება, საქმისადმი ი[…]ტერესი და ყოფა.

ეხლა, როდესაც თითქ[…] ყველა ჩვენს ნაწილებში არს[…]ბობენ სამხკორთა გაერთიან[…]ბანი და სწარმოებს მეცადინ[…]ობა, საჭიროა საუბრების დრ[…] მთავარი ყურადღება, ექცე[…]დეს ზემოთ მოყვანილ ნაკლ[…]ლევანებებს. ხშირად წრეებ[…] წაკითხული უნდა იქნეს […] თუ ის, რედაქციაში გადას[…]ზავნათ დანიშნული კორესპო[…]დენცია და კოლექტიურად […] ახდინონ მისი შეფასება.

ამასთანავე გაზეთში მოთა[…]სებული და რედაქციის მიერ […]სწორებული განხილვაც უ[…]ხდებოდეს წრეში.

ასეთი გზით ადვილად შ[…]სძლებთ ჩვენი კორესპონდ[…]ტების დახელოვნებას, და ი[…]ნი თამამად შესძლებენ შემ[…]გში გაარჩიონ ერთმანეთისაგ[…] მნიშვნელოვანი და უმნიშ[…]ლო.




## ამხ. ამხ. წითელ-არმიელებო, ხელი შეუწყვეთ თქვენი გაზეთის გავრცელებას.

## როგორ ჩატარდა ლენინის კვირეული სამხედრო პოლიტიკურ სკოლაში.

ლენინის კვირეული სკოლაში დაიწყო იანვრის 16 და დამთავრდა 24. კვირეულის სათანადოთ ჩატარებისთვის მზადება ადრევე შეუდექით. მოწვეულ იქნა კლუბის გამგეობის სხდომა კომუჯრედის და სამოსწავლო ნაწილის წარმომადგენლებთან ერთად, რომელმაც გამოიმუშავა კვირეულის ჩატარების წესი.

კრებამ დაადგინა კვირეულის ჩატარებაში ჩაეთრიათ მთელი მეთაურ—პოლიტშემადგენლობა. განაწილებულ იქნა თემები მოხსენებისათვის წრეებიც შეუდგნენ მზადებას მასიურ სადამოსთვის.

კვირეულის განმავლობაში გაკეთდა შემდეგი მოხსენებები: „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“ „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯებასთან“, „9 იანვარი 1905 წელი“, „ერთი წელიწადი ულენინოთ“.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო სამხედრო პოლიტსკოლამ, საკუთარ შენობის უქონლობის გამო, გამართა ცენტრალურ კლუბში, დივლაზარეთთან ერთად. სხდომის შემდეგ რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა პოლიტკანის უფროსი ამხ. სიხარულიძე, პოლიტსკოლის კურსანტებმა დადგეს სურათი „ლენინი“, რომელიც ლამაზად იქნა შესრულებული და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე.

სკოლის სარედაქციო კოლეგიამ ამ დღისთვის გამოუშვა კედლის გაზეთის საგანგებო ნომერი. ბიბლიოთეკამ კი შეიძინა დიდი მხატვრული პლაკატი „ლენინის ცხოვრება“.

**ე. ხუციშვილი.**

## ჩვენი ტერ-ნაწილების ცხოვრებიდან მოვეწყვეთ.

ახალციხეში ვდგევართ ტერიტორიალური ნაწილის მეორე ასეული; ყაზარმა შესაფერად გვაქვს მოწყობილი. ლენინის კუთხის მოსაწყობათ დიდი მონდომებით მუშაობდენ წითელ არმიელები. ნაწილში უკვე დაარსდა რამოდენიმე წრეები, როგორც არის, დრამატიული, ლიტერატურული და პოლიტიკური. ყველა წრეებს საკმაოდ ენერგიული ამხანაგები ხელმძღვანელობენ, მხოლოდ არის ერთი გარემოება, რომელიც მეტად აბრკოლებს ლიტერატურული წრის საქმიანობას. არა გვაქვს საჭირო ლიტერატურა-ქართველი მწერლები და სხვა.

ასეულის ერთი წითელ არმიელიც არ არის დარჩენილი აღნიშნული წრეებს გარეშე. ყველანი მხურვალე მონაწილეობას იღებენ სხვა და სხვა საკითხების გარჩევასა და დამუშავებაში.

ვცდილობთ რაც შეიძლება საკმაოდ მომზადებული შევხვდეთ ტერ- ნაწილების რიგებში გამოწვეულ ჩვენს ძმებს და ამხანაგებს.

ჩვენ გვსურს დავახვედროთ მათ ნამდვილი ყაზარმა—სკოლა, სადაც ისინი მიიღებენ ცხოვრებაში გამოსადეგ საჭირო ცოდნას.

**სამხკორი ვარსკვლავი.**

## ლენინის კვირეული არტლეგიონის ბიბლიოთეკაში.

ლენინის კვირეულისათვის მზადება ბიბლიოთეკამ დაიწყო 14 იანვრიდან. დამზადებული იქნა თვით ბიბლიოთეკისა და ბატარეებისათვის წიგნების სარეკომენდაციო სიები.

ხმამაღალი კითხვები ტარდებოდა ამხ. ლენინის ბიოგრაფიაზე სხვა და სხვა ავტორების წიგნებიდან და ცალკე მოგონებებიდან, 16-დან—20 იანვრამდე. ამავე თემაზე ტარდებოდა საუბრები ბატარეების ბიბლიოთეკრების და წრის წევრების მიერ საღამოობით.

ბიბლიოთეკა აძლევდა მასალებს პოლიტხელებს საუბრების ჩასატარებლად.

გამგის მეთაურობით ამზადებდა მომღერალთა გუნდს ჩვენი სამხკომის მიერ დაწერილი ახალ ინსცენიროვკისათვის, რომელიც ძლიერ კარგად იქნა შესრულებული.

საერთოდ ჩვენი ბიბლიოთეკა თავის მოწოდების სიმაღლეზეა—ის სავსებით აკმაყოფილებს წითელ არმიელთა და მეთაურ—პოლიტშემადგენლობის მოთხოვნილებას.

ბიბლიოთეკას აქვს სპეციალურად გამოყოფილი სამხედრო ლიტერატურა, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი ამხანაგი მეთაურთა შემადგენლობიდან და აწვდის ამხანაგებს სათანადო რჩევა დარიგებას სამხედრო ლიტერატურის შესახებ.

ვსარგებლობთ კოლექტიური აბონემენტით საგარნიზონო ბიბლიოთეკიდან.

საბიბლიოთეკო წრის შემადგენლობის დიდი უმრავლესობა მოხვდა მხვერავთა გუნდში, როგორც უფრო გათვითცნობიერებული ამხანაგები—რამაც ხელი შეუშალა წრის სისტემატიურად მუშაობას, მაგრამ ეს ნაკლი შევსებული იქნება ახალი წევრების შეკრებით.

წიგნები ყველა შეტანილია ინვენტარში და ეხლა მუშაობენ ტეხნიკურ გადამუშავებაზე.

გარეგნულადაც ბიბლიოთეკამ სხვა სახე მიიღო, გალამაზდა, მაგრამ ხელს უშლის შესაფერი სადგომის უქონლობა.

იმედია ეს ნაკლიც გამოსწორებული იქნება.

**წიგნის მოყვარული.**

## ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი კრებები და საღამოები.

### მესანგრეთა ასეულში.

22 იანვარს მესანგრეთა ასეულის კლუბში მუშებთან ერთად, შესდგა ასეულის გაერთიანებული კრება ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო. კრება გახსნა ასეულის სამხკომმა ამხ. ჯავახოვმა. ილაპარაკეს მუშებსა და არმიელების მთელმა რიგმა. აქ ფართოდ აეხსნა ამხ ნაგებს, თუ რა გააკეთა ამხ. ლენინმა მშრომელი ხალხისათვის. აქვე ჯამი გაუკეთდა ულენინოთ ერთი წლის მუშაობას—თუ როგორ და რამდენად შესძლო კომპარტიამ ლენინის ანდერძების ცხოვრებაში გატარება.

კრება დამთავრდა ინტერნაციონალით, რის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. ბოლოს მბეჭდავთა კავშირის მუშების წარმომადგენელმა, აცნობა ასეულის წითელ არმიელებს, რომ ისინი დაურიგებენ მათ საჩუქრებს.

**პარტკორი დ. ქაბზინაძე.**

## ჩვენი წითელი კუთხე.

5 თე ტერ-ლეგიონის მე-2-რე ათასეულში მოვაწყვეთ ლენინის კუთხე.

კუთხის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა ათასეულის მეთაურმა და პოლიტშემადგენლობამ. უშუალოთ კი კუთხის მოწყობას ხელმძღვანელობდა მე-4 ასეულის პოლიტხელი ამხ. დუმბაძე და ტყვიამფრქვევ გუნდის პოლიტხელი ამხ. მენაბდე.

წითელ კუთხეში მოგვეპოვება ყოველგვარი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. მხოლოთ გაზეთები არ მოგვდის თავის დროზედ.

საჭიროა ეს გარემოება მიიღონ მხედველობაში ლეგ-თავმა და სამხკომმა, რაც გამოაცოცხლებს ჩვენს ლენინის კუთხეს.

კუთხეში გვაქვს აგრეთვე რევოლიუციის ბელადების სურათები და პლაკატები. ასე რომ წითელ არმიელები ძლიერ გახარებული არიან, კუთხის მოწყობით.

**ვ. ცქიტიშვილი.**

## წითელი მოკავშირენი.

ჩვენი ასეულის წითელ-არმიელები მეტად დაინტერესებული არიან ცოდნის შეძენით და დიდის გულმოდგინებით ესწრებიან ყოველგვარ მეცადინეობას. არ არის ისეთი წუთი, რომ ლენინის კუთხეში არიყოს წითელ არმიელები, არ კითხულობდენ ჟურნალ—გაზეთებს. ლენინის კუთხე მორთულია ჩვენი ბელადების სურათებით და ლოზუნგებით. ლენინის გარდაცვალების წლის თავის კვირეულში, ყოველ საღამოობით იმართებოდა საუბრები ლენინის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. დიდ დახმარებას გვიწევს მეცადინეობაში გუნდის უფროსი ამხ. ადამია, რომელიც გვიმარტავს ყოველგვარ გაუგებარ საკითხებს.

**დ. ქ—ლი.**

## მოსპეთ ნაკლოვანებანი.

## მნევ, ყურადღებაა საჭირო.

ქართულ მეთაურთა გაერთიანებულ სკოლას აქამდე არა აქვს სპეციალურად ჩაის ასადუღებელი ადგილი. წყალი ყოველთვის გარეთ, სკოლის ეზოში, დუღდება სალაშქრო სამზარეულოებში.

ამ ძლიერი ყინვებისა და ქარის დროს, ჩაის ისევ გარეთ, ადუღება დიდ უხერხულობას იწვევს. ჯერ ერთი წყალი იყინება გარეთ და შემდეგ ქარები ძლიერ აგვიანებს წყლის ადუღებას. ამის გამო ჩაი იმ დროს არის მზად, როდესაც ლაბორატორიებში დაწყებულია მეცადინეობა.

მეორე მხრივ, არც ის არის უზრუნველყოფილი გაცივებისაგან, ვინც უთვალთვალებს წყლის ადუღებას, სალაშქრო სამზარეულოებში. ასეთი შემთხვევა უკვე იყო. ერთი გაცივდა და წევს.

ნუ თუ ასე გაჭირდა, რომ ჩაის ასადუღებლად ერთი ოთახი ვერ გამონახეს მთელ სკოლაში? საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციოს სამნეო ნაწილის უფროსმა ამ გარემოებას და აგვაცდენდეს თავიდან ყოველგვარ უხერხულებას.

**სამხკორი ა—ნი.**

## ავადმყოფს თავის დროზე უნდა საჭმელი.

პირველ ლეგიონს აქვს საავადმყოფო-ქსენონი, სადაც მოთავსებული არიან რამოდენიმე ავადმყოფი წითელ არმიელები, რომლებიც ხშირად რჩებიან უსადილოთ, უვახშმოთ და ხშირად უპუროდაც.

ხსენებული ავადმყოფ ამხანაგების ულუფას ყოველთვის ღებულობენ ასეულის მორიგეები, სხვა არმიელების ულუფასთან ერთად. პირველად ყოველთვის ასეულებში არიგებენ სადილ-ვახშამს და პურს და მხოლოდ შემდეგ მიაქვს მორიგეებს ავადმყოფებთან სადილი. განაწილების ასეთ წესს ხშირად ის მოზდევს, რომ ასეულში უწესრიგოთ ინაწილებენ და მათთვის აღარ რჩება, ან თუ რჩება, ისე არეული და შემდეგ გაციებულიც, რომ ავადმყოფი კი არა, კარგად მყოფიც ვერ შეჭამს.

საჭიროა ავადმყოფების ულუფას თვით ქსენონის სანიტარები მიიღებდნენ და დაურიგებდნენ მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მშიერი და უყურადღებოთ დატოვებული ისინი დიდხანს ვერ განიკურნებიან.

**წით. არმ. თ. სიკინჭალაშვილი.**

## მოსპეთ ცუდი სიტყვების ხმარება.

პირველი ლეგიონის ბატარეის ხელმძღვანელი ამხ. ჟურული მეცადინეობის დროს, წითელ არმიელებს ვერ გვექცევა ისე, როგორც შეეფერება წითელი არმიელის ნამდვილ აღმზრდელს.

ხშირად მეცადინეობის დროს თუ რამე შეგვეშალა, მოგვმართავს უშვერი სიტყვებით, როგორიც არის მაგალითად: „ლობიო ხარ“, „მგელო“ „შე ჭკო ცხენო“ და სხვა. ყველა ამ სიტყვებს ამხ. ისეთი გაგრძელებით და მოზხამულად ამბობს თითქოს მხეცებთან ჰქონდეს საქმე.

ნუ თუ, დასაშვებია ასეთი სიტყვებით უმასპინძლდებოდეს მეთაური—აღმზრდელი წითელ არმიელს? წითელ—არმიელის მეთაურს არ შეჰფერის არმელებისადმი ასეთი მოპყრობა. ნუ თუ არ გამოუცდია ამხ. ჟურულს, როგორ გავლენას ახდენს ადამიანზე ასეთი სიტყვები და ისიც ამხანაგებში? ასეთი სიტყვების ხმარებას ბოლო უნდა მოეღოს წითელ ჯარში.

ამხ. ჟურულო, საჭიროა თქვენც თავი გაანებოთ ამას და ისე მოექცეთ წითელ—არმიელს, როგორც მას მოითხოვს რევოლიუციონური დისციპლინა და წითელარმიის სიმტკიცის ინტერესები,

**წ.—არ. აკაკის ძმა.**

## სამნეო ნაწილის უფროსო! შემოიარე ჩვენსკენაც.

1-ლი ლეგიონის სამნეო გუნდში საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსი შემოივლიდეს და გაეცნობოდეს ჩვენს ყოფა-ცხოვრებასაც.

გუნდში არა გვაქვს პირის საბანი, რისთვისაც პირის დასაბანათ ჩვენი არმიელები გარბიან ხოლმე საკმაოდ დაშორებულ წყაროზე, და ვიდრე გუნდში მოვიდოდნენ პირი ეყინებათ.

საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ ნაკლს და გააკეთდეს გუნდში პირის საბანი.

**გ. მეჯუდის-ხევილი.**

# ამბები სოფლებიდან.

**გლეხკომს გზა გაყავს.**

ლაგოდეხის (კახეთი) გლეხკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს გზა-ტკეცილი ლაგოდეხიდან „გოგირდის წყლებამდე“, სადაც გლეხკომისავე ხელმძღვანელობით აშენებულ იქნება საკურორტო შენობები.

**ჯამაგირების მომატება.**

სიღნაღის აღმასკომმა გადასწყვიტა მოუმატოს ჯამაგირები ადგილობრივ მოსამსახურე უმაღლეს ცენზიან მასწავლებლებს.

**მეფუტკრეობა ბორჩალოში.**

ბორჩალოში, მეფუტკრეობის საქმის მაღალ დონეზე დასაყენებლათ, სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მოიწვიოს მაზრის მეფუტკრეთა ყრილობა 1-ლი თებერვლისათვის.

**ველისციხის გლეხკომი.**

ველისციხის გლეხკომს (კახეთი) ამჟამად გახსნილი აქვს წითელი სასადილოები, საბონდარო სახელოსნო, სამჭედლოები და სანალბანდო სახელოსნოები.

**ზარალი ფილოქსერასაგან.**

სიღნაღის მაზრაში ფილოქსერას დაუზიანებია 9.263 დესეტინა ვენახი.

# მიზანს ვაღწევთ.

1-ლ ლეგიონის მე 5 ასეულში ყოველ გვარი მეცადინეობა წესიერათ მიმდინარეობს. ყველა წ. მოლაშქრები განსაკუთრებული ინტერესით ისმენენ და იძენენ ყოველივე ახალს.

პოლიტიკური საათი საუკეთესო მეთოდით ტარდება ჩვენ ასეულში. განვლილის გამეორების დროს, წითელი მოლაშქრეები რიგ—რიგობით კისრულობენ პოლიტხელის მოვალეობას, აძლევენ ერთმანეთს სხვა და სხვა კითხვებს, რაც დიდ ინტერესს იწვევს წითელ მოლაშქრეთა შორის. თითეული ცდილობს რაც შეიძლება მეტი დაიმახსოვროს პოლიტ ხელის საუბრებიდან, რომ შემდეგ გამარჯვებული გამოვიდეს ამხანაგებთან. ასეთი გეგმით მეცადინეობა საშუალებას აძლევს წითელ მოლაშქრეებს შეეჩვიონ კრებებზე ლაპარაკს და წესიერათ მსჯელობას; მთავარი ყურადღება აქვს მიქცეული სამხედრო საქმის შესწავლას.

მეთაურების ენერგიული მუშაობით მოეწყო სამხედრო კუთხე-ლენინის კუთხის გვერდით წითელ მოლაშქრეებს მშვენივრათ აქვთ შეთვისებული წყობილების კანონები და სხვა, განსაკუთრებით ისინი დიდათ დააინტერესა ტაქტიკურმა მეცადინეობამ.

რამდენიმე ხნის წინეთ ჩვენმა ასეულმა მოაწყო ასეთი მეცადინეობა ბრძოლის ველის სახით მინდორში, საიდანაც წ-მ. ძალიან კმაყოფილნი დაბრუნდენ და სიხარულით მოელიან შემდეგში ასეთის განმეორებას.

მე—5 ასეული არ ჩამორჩენილა არც დანარჩენ ქიმიურ, სანიტარულ და სხვა საათების მეცადინეობაში, ვმუშაობთ ენერგიულად.

სამხკური შ. გამყრელიძე.

# სამხედრო ტრიბუნალში.

## „ქარუტოზე“ თავდამსხმელთა საქმე.

29 იანვრის სხდომები სასამართლომ მთლიანათ მოანდომა მოწმეების დაკითხვას.

დაკითხულ იქნენ: მეგრელიძე, დგებუაძე, გურგენიძე, იშხანოვი, მეორე იშხანოვი, ოსაძე, რიჟინაშვილი, ჩიქოვანი, კაციტაძე, არონიშიძე და მეორე ოსაძე. აღნიშნულ მოწმეთა დაკითხვიდან გამოირკვა ბევრი საზოგადო ინტერესის მქონე გარემოებანი. მათ შორის საინტერესო ჩვენება მისცა ოსაძემ, უნცროსმა ძმამ. მან სთქვა, რომ გერასიმე თავართქილაძის მეორე ცოლს, იულია თავართქილაძისას მუდამ მტრული დამოკიდებულება ჰქონდა ქმრის ოჯახთან განსაკუთრებით დასთან და დედასთან. ეს უკანასკნელები მუდამ იმას ურჩევდნენ გერასიმეს, რომ იგი გაყროდა მეორე ცოლს და დაბრუნებოდა პირველ. ამ ნიადაგზე იულიასა და მათ შორის ხშირათ ჰქონდა ადგილი უსიამოვნებას. რომელიც ხან და ხან ცემა-ტყეპამდე მიდიოდა. შემდეგ როდესაც „ქარუტოს“ გაძარცვა მოხდა, იქედან გამოტანილი ფული გერასიმე თავართქილაძემ არ გაუნაწილა თავის მეორე ცოლს, რომელიც მოითხოვდა მისთვის მიეცათ წილი. ამაზედ გაჯავრებულმა ქალმა გადასწყვიტა მისულიყო საგანგებო კომისიაში და ყველანი გაეცა.

მართლაც ეს მან ჩაიდინა და შედეგათ თავართქილაძის დაჴდა ორი სხვაც დააპატიმრეს.

უფროსმა ძმამ ოსაძემაც დაახლოებით ამგვარი ჩვენება მისცა. მოწამე დაახლოვებული ყოფილა მეზობლური ურთიერთობით თავართქილაძის დედისა და დის ოჯახთან და თვით ბრალდებულთანაც. ბრალდებული, მისი სიტყვით არ იყო ბოროტი და ცუდი ხასიათის კაცი.

მეორე ცოლის შერთვის შემდეგ ბრალდებულმა თითქმის სრულებით მიატოვა თავის ოჯახი და გადავიდა მეორე ცოლის ბინაზე. დედამ დაიბარა ერთხელ, გერასიმე თავართქილაძე და უთხრა, რომ თუ იგი არ გაუშვებდა მეორე ცოლს და არ დაუბრუნდებოდა 1-ლ ცოლსა და პატარა შვილს, დედა ვერ აიტანდა მათი საცოდაობის ყურებას და თავს მოიწამლავდა. თავართქილაძემ მას არ მიაქცია ყურადღება.

**ქალების ჩხუბი.**

ერთხელ თავართქილაძის დადა მეორე ქალი შეხვდნენ თავართქილაძის მეორე ცოლს. მოუვიდათ ლაპარაკი, რომელიც ცემა-ტყეპით დასრულდა. შედეგათ თავართქილაძის მეორე ცოლი აღმოჩდა ფიზიკურათ შეურაცყოფილი. მან მოიყვანა მილიცია, რომელმაც დააპირა დამნაშავე ქალების (ახალი ტიპის მკლავაძეები!) დაპატიმრება, მაგრამ საქმეში ჩაერია თვით თავართქილაძე და დაპატიმრებული არავინ ყოფილა. ასეთ ამბებს ხშირათ ჰქონია ადგილი.

ამასობაში გაიარა ორმა კვირამ და თავართქილაძის დედა მართლაც გარდაიცვალა. საქმის გარემოებიდან სჩანდა, რომ მას თავი მოეწამლა. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო გაამწვავა დამოკიდებულება თავართქილაძის მეორე ცოლთან.

**ქალის შურისძიება.**

იულიას უყვარდა თავისი ქმარი გერასიმე თავართქილაძე. იგი ამბობდა. რადგანაც ამაზე მეცილებიან სხვები დაე, ეს კაცი, ან იყოს ჩემი და ან არავისიო.

შემდეგ ყაჩაღებმა ვერ მოიირჩინეს „ზედმეტი“ ფული, რომ მოეგოთ იულიას გული. იგი მოითხოვდა „თავის წ[...] ლს“ მას უარს ეუბნებოდ[...] და პირიქით უნდოდათ მ[...] ქმარი დაბრუნებოდა ძ[...] ცოლშვილს და წესიერ ცხ[...] რებას.

სამაგიეროთ თავართქილა[...] მეორე ცოლმა შური იძია, [...] აპატიმრებია ყველა ისინი, ვის[...] დაპატიმრებაც სურდა და [...] წნყარდა. მაგრამ საგანგ[...] კომისიამ უდანაშაულო დ[...] ტიმრებულები ჩქარა გაან[...] ვისუფლა.

საჭირო იყო შურისძი[...] ბოლომდე მიყვანა და „წყ[...] ვილის“ მოკვლა. საამისო[...] დაიწყო ზრუნვა თავართქ[...] ძის ცოლმა.

# ახალი ამბებ[...]

— **წითელ არმიელთა კლუბში.** 2 თებერვალს წითელ არმიელთა კლუბში გაიმართება სანიტგანათლების საღამო მუშებისა და წითელ არმიელებისათვის.

— **შრომის კოლექტივები** ტფილისში არსებულ 6 შრომის კოლექტივში ამ ჟამად მუშაობს 191 უმუშევარი მუშა.

— **კოოპერატივების დაზვერა.** საქართვ. მუშ. და გლეხთა ინსპექციამ მიანდო ცალკე კომისიას შეისწავლოს კოოპერატივების გადასახადებით დაბეგვრის საკითხი.

— **დახმარება წითელ [...] მიელთა ცოლებს.** ტფ. [...] ზღვევმა კასამ გადასწყვიტა [...] სცეს სარძეო ფული სრულ[...] (4 მანეთი) ჯარში გაწვე[...] წითელ არმიელთა ცოლ[...] თუ მათ ბავშვები ყავთ.

— **მცირე წლოვანი დ[...] ნაშავენი.** მცირე წლოვან[...] საქმეების გამხილველ კომის[...] ში დეკემბრის განმავლობა[...] განსახილველათ შემოვიდა [...] საქმე; ბრალი ედება 42 ბავ[...] აქედან 6 ქართველია, 15 [...] სი, 16 სომეხი და 1 მა[...] დიანი.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. ასოპელიძეს** თქვენი კორესპონდენცია „ასე არ უნდა ხდებოდეს საბჭოთა ხელისუფლების დროს“ არ დაიბეჭდება. საერთოდ ამ საქმეზე სათანადო შუამდგომლობა არის აღძრული რევსამხსაბჭოს წინაშე ჩვენი დივიზიის მიერ. შედეგი ჯერ გამოურკვეველია.

**ამხ. ის. კ-ს. ამხ.** მარტვილელის საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება.

**ამხ. ქარჩხაძეს** „ჩვენც [...] გვაქციეთ ყურადღება“ [...] გავა. ტანისამოსის შეს[...] ამოწურულია საკითხი. [...] მიიღეთ საზაფხულო ტანს[...] ცმელი, საზამთროს მაგი[...] და შენახული გქონდათ [...] მარად—ეხლა გამოგვიცვლ[...] ან, თუ იხმარეთ ან აღა[...] გაქვთ—საზამთრო აღარ გ[...] რგებათ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# შეისწავლე ბუნების მეტყველება.

## ყინვა, თოვლი, ხაშარი.

ამ რამოდენიმე დღის წინად ძლიერი ყინვები იდგა. ჩვენი ასეული ყარაულში იყო გასული. დაბრუნდენ, მაგრამ 8 ამხანაგს მოყინული ქონდათ სხეულის სხვა და სხვა ნაწილები: ზოგს ყურები გალურჯებოდა და გასიებოდათ კიდეც სიცივისაგან, ზოგს თითები, ხოლო ორს უზარმაზარი ბუშტები გასჩენოდათ ფეხებზე და იმ წამსვე ლაზარეთში გაკრევინეს თავი.

მივიდა ექიმიც. ძლიერ სურდათ ამხანაგებს ვინმესთან საუბარი; დაწოლილი ვერ გასძლეს, მოსწყინდათ.

„ვინაც რა სტკივა, ბუნებრივად იმაზე უნდა ილაპარაკოს, უნდოდათ გაეგოთ, თუ როგორ მოეყინათ ფეხები და რა ზომები უნდა მიიღონ ამის წინააღმდეგ. ხოლო ერთმა ამხანაგმა ასეთი შეკითხვაც კი მისცა ექიმს:—ამხ. ექიმო, გვაგებიეთ, როგორ ჩნდება თოვლი და ყინვა.

— ეს ადვილი საქმეა,—უპასუხა ექიმმა და დაიწყო.— ზამთარი წელიწადის ერთი ყველაზე უფრო ცივი დროთაგანია, და ეს იმიტომ, რომ ზამთარში დედამიწას ვერ ათბობს მზე. არიან დედამიწის ზურგზე ისეთი ადგილები, სადაც მუდამ ყინვებია გამდგარი—ყველაფერი დაფარულია უზარმაზარი ყინულის მთებით. იქ თითქმის არასოდეს არ ჩნდება მზე. როდესაც ასეთი ადგილებიდან დაიწყებს ქარი ქროლას, მას მოაქვს ყინვები—სიცივეები. თუ საღამოზე თბილოდა, მაგრამ მეორე დილით ძლიერ ცივა, იმ ღამეს მაშასადამე ცივი ქარი ქროდა.

თქვენ კარგად იცით, რომ ყინვებს მორიდება უნდა.

აუცილებლად საჭიროა, რომ ფეხსაცმელი იყოს მთელი და ფეხზე დასახვევები კი მშრალი. ამიტომ დაწოლის წინ საჭიროა, რომ ფეხზე დასახვევები გაიკიდოს გასაშრობათ. სოველი ფეხსახვევები ყინვაში—უბედურებაა, სამუდამოთ დაიზიანებ ფეხებს.

კარგია ფეხსახვევის შემდეგ ფეხზე შამოიხვევდეთ აგრეთვე გაზეთის ქაღალდს—ის ძლიერ იცავს ფეხს გაციებისაგან.

სიცივეში არ უნდა გაჩერდე უმოძრაოთ, საჭიროა იმოძრაოთ და მარჯვეთ სცემდეთ ძირს ფეხებს, ხოლო სახეუ რებით კი ხშირად უნდა დაიზილოთ; ცხვირი, ყურები და ლოყები.

წინათ ამბობდენ, რომ ყინვებში კარგი არის სპირტული სასმელებიო. ეს არ არის მართალი. მართალია ღვინო და არაყი პირველად ძლიერ ათბობს ადამიანს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ქრება ეს სითბო, სუსტდება კაცი და ყინვაც უფრო ერევა ორგანიზმს.

ყინვების დროს ძლიერ იცის მოწოლა ძილმა—ამისი (თუ გარეთ დგახართ) ძლიერ უნდა გეშინოდეთ: თუ დაგეძინათ, მთლად გაგაშეშებთ სიცივე. როგორც კი გაიგებ, რომ ყინვამ მოგწვა სხეულის რომელიმე ადგილი, იმ წამსვე უნდა დაიზილო ის თოვლით და წასცხოთ უმარილო ქონი. ეს პირველი ზომებია, რომლებსაც უნდა მიმართოს წითელ-არმიელმა. ხოლო უფრო მძიმე შემთხვევების დროს, მაგალითად როგორც თქვენ, უნდა მიმართოთ ექიმს.

აი ყველაფერი. ეხლა თოვლის შესახებ. თქვენ ალბად იცით, რომ ჰაერში აუარება წყალი იმყოფება ორთქლის სახით.

ეს ორთქლი კი ყველგან ჩნდება. მაგალითად თქვენთვის, რომ ჩაის ადუღებენ ან „ბორშს“ აკეთებენ, იქედანაც კი (დუღილის გარეშე) ორთქლდება.

თუ ავიღებთ ლამბაქს წყლით და დავსტოვებთ მას დიდი ხნით, წყალი როგორც ამბობენ ამ შემთხვევაში, დაშრება, ნამდვილად კი ეს წყალი იქცა ორთქლად.

ეს ორთქლი როგორც კი მოხვდება ცივ საგნებს ისევ გადაიქცევა წყლად. მაგალითად ზამთარში თოფს, რომ შეიტან ყაზარმაში ის წამსვე დაიფარება წყლის პაწია წვეთებით.

წყალი კი აუარებაა დედამიწაზე: ზღვები ტბები, და მდინარეები. ბევრი მათგანი არასოდეს არ იყინება. ამიტომ წყალი იქიდან ორთქლდება, და ეს ორთქლი ქარების შემწეობით მიემართება ყოველი კუთხისაკენ. როგორც კი ორთქლი მოექცევა ცივი ჰაერის სარტყელში, იქცევა პაწია წყლის წვეთებათ. ზამთრობით წყლის წვეთები იყინებიან და თოვლის სახით მოცვივიან ძირს.

ეხლა კი, რომ დავათაოთ ჩვენი საუბარი, საჭიროა ისიც ვთქვათ, თუ შემოდგომობით რად იფარება ხაშარით-რთვილით, მიწა, სახლის სახურავები, ბალახები და სხვა. საქმე იმაშია, რომ შემოდგომობით მზე ძლიერ სუსტად ათბობს დედამიწას და ამიტომ ღამღამობით დედამიწა, შენობები და ხეები ძლიერ ცივდებიან. ჰაერი კი ცივდება ისე ჩქარა, როგორც მაგალითად მიწა. ამიტომ ჰაერში არსებული წყლის ორთქლი ილექება გაყინულ მიწაზე და თითონაც იყინებიან. ამნაირად ვღებულობთ რთველს ანუ ხაშარს.

ზაფხულში კი რთველის მაგივრად იცის....

„ნამი“ უცებ წამოიძახეს ავადმყოფ წითელ არმიელებმა.

ნ—ი.

# განცხადებები.

ს. კ. პ. ცეკას მე 3 მე რაიონი ამით აცნობებს, რო[...] ა. წ. 31 იანვარს საღამოს, 6 საათზე 3 რაიკომის ბინაზ[...] შესდგება ტ. კ-ის 3რაიკომის გაფართოებული

## პლენუმის სხდომა.

მცივანი: ვართაპეტიანი.

30 იანვარს (პარასკევს) 18 საათზე წითელი არმიისა [...] ფლოტის სახლში, მოწვეულია გარნიზონის კავშირგაბ[...] ქართული დივიზიის, 21 ტფილისის სკოლის, სამხედრ[...] პოლიტიკური სკოლის და მხლებელთა მცირე გუნდის: სამ[...] კომების, პოლიტხელების, ბიურო-კოლექტივების, უჯრედ[...] ბის და აქტიურ პარტიულ მეთაურთა შემადგენლობის—

**ფართე თათბირი.**

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის უფროსის თან[...] შემწე კრუგლიკოვი.

პარასკევს 30 იანვ. დილის 11 საათზე ცენტრ. წითელ არ[...] მიელთა კლუბში შესდგება სემინარების მორიგი მეცად[...] ნეობა. სავალდებულოა დასწრება: კლუბის უფროსების, პოლი[...] ხელების, ბიბ. გამგეების და ასეულის ბიბ. გამგეების.

ხელმძღვანელი ტ. წვენიევი.